

საკადასტრო საზღვარი

სარეკრეაციო სივრცის
საპროექტო არეალი

7 513,959 m²





დარგული ხე-მცენარეების ექსპლიაკცია

- ატამი(მწვანე)
- ვაშლი(წითელი)
- ვაშლი(მწვანე)
- ვაშლატამა
- ტყემალი(მწვანე)
- ტყემალი(წითელი)
- აუკუბა
- ემონიუსი

განათების სვეტი H=600სმ

A BLOCK

წერილის ნომერი: **18-01230091494**
თარიღი: **09/01/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01223423102
წერილის თარიღი:	08 დეკემბერი, 2022
განმცხადებელი:	ია ჩეხერია
განაცხადის N	AR1936299
მისამართი	ქ.თბილისი, ალექსი გობრონიძის ქ. #33
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.11.17.008.031
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	I კლასის ლანდშაფტური მშენებლობა
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	ლანდშაფტურ მშენებლობასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	24485 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „ინდუსტრიული ქალაქი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სამრეწველო ზონა 1 (ს-1) სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) გამწვანებული ტერიტორიები
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გენ.გეგმა
დასკვნა: თანხმობა	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია ლანდშაფტურ მშენებლობასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე

მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ,,ნ” ქვეპუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, 29-ე, 30-ე, 38-ე, 39-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამსახური არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ, დაგეგმილი ლანდშაფტური მშენებლობა.

სამუშაოები უნდა აწარმოოთ ისე, რომ არ დაზიანდეს ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი